

საქართველო ეკონომიკური განვითარების მოდელის ქიზაუმი

საქართველოში არსებულ საფინანსო-ეკონომიკურ მდგომარეობაზე დღეს ბევრს საუბრობენ: ზოგი ამტკიცებს, რომ ქვეყანაში მძიმე ეკონომიკური ვითარებაა, რომ სწრაფი ეკონომიკური ზრდა შეუძლებელია, შეინიშნება სტაგნაცია, რეცესია და ა.შ. ექსპერტთა ნაწილი კი თვლის, რომ საგანგაშო არაფერია და ბევრი არსებულ ვითარებას პოლიტიკური ძალაუფლების გადაბარებას უკავშირებს.

ფაქტია, რომ კოპობიტიციის პროცესი ეკონომიკაზე უარყოფითად აისახა. როგორც ექსპერტთა ნაწილი თვლის, სანამ ეკონომიკაზე პოლიტიკა ბატონობს და გადაწყვეტილებები პოლიტიკური მიზნების მიხედვით მიიღება, ქვეყანა რეალურ ეკონომიკურ განვითარებას ვერ მიაღწევს. ამ ფონზე, ეკონომიკურ ექსპერტთა ნაწილი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ აუცილებელია შეიცვალოს საქართველოს განვითარების ეკონომიკური პარადიგმა, დაიწყოს მკაფიო და გასაგებ ეკონომიკური პოლიტიკის წარმოება, არსებული ანტიინფლაციული პოლიტიკის სინერგიული გამოიკვეთოს ეკონომიკური მდგომარეობის რეალური სურათი, პრობლემების რაობა და განისაზღვროს ამ მდგომარეობიდან გამოსავალი.

კვლევითი ექსპერტებისა და მეცნიერების ობიექტური აზრის მოსმენა დღეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და საინტერესოა, ვინაიდან არსებულ ეკონომიკურ ვითარებაზე დამოკიდებული როგორც ჩვენი ქვეყნის, ისე თითოეული ჩვენგანის მომავალი.

რა ხდება დღეს საქართველოში ეკონომიკაში, როგორია მისი განვითარების გზები და პერსპექტივები? ემოქრება თუ არა საქართველოს ეკონომიკური კრიზისი? შეიძლება თუ არა ხელისუფლება საარჩევნო დაპირებების შესრულებას ახლო მომავალში? როგორ უნდა განისაზღვროს განათლებისა და მეცნიერების როლი საქართველოს ეკონომიკის განვითარებაში? — ამ აქტუალურ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და ეკონომიკურ საკითხებზე ამომწურავი პასუხები გასცა ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა ლადო პაპავამ, რომელმაც, სტუდენტების ინიციატივით, 7 ივნისიდან 14 ივნისამდე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში წაიკითხა ლექციების ციკლი „საქართველო ეკონომიკური განვითარების მოდელის ძიებაში“. ლექციები ოთხ თემატურ ნაწილად იყო დაყოფილი: დამოუკიდებელი საქართველოს ეკონომიკა, განვითარების ზიგზაგები, „საქართველო და გლობალური ეკონომიკა“, „ღარიბი ქვეყნის მომხმარებელი ეკონომიკის ფორმირება“ და „საქართველოს ეკონომიკის მომავალი და განათლებისა და მეცნიერების როლი“.

„ჩვენ მარტივად და ყველასთვის გასაგებად ვისაუბრებთ ისეთ თემებზე, რომელსაც ვერც ერთ ნიგნში ვერ ამოიკითხავთ... — ასე დაიწყო პირველი ლექცია ლადო პაპავამ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში, სადაც მსმენელებს დამოუკიდებელი საქართველოს ეკონომიკური განვითარების ანალიზი და საკუთარი ეკონომიკური ხედვა გაუზიარა.

თამარ ღაღანიძე

„საქართველოს ტრანსფორმაციის ოცნებანი პერიოდი საინტერესოა მრავალი თვალსაზრისით, მათ შორის, მიმდინარე პროცესების გასაანალიზებლად. არსებული ეკონომიკური ცოდნა და გამოცდილება ველარ განსაზღვრავდა მოსალოდნელი ცვლილებების მთელ სპექტრს და ეკონომიკის მოულოდნელი სტენარტი განვითარება გამოცდას უწყობდა ხელისუფლებას. სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ საქართველოში საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლისა და ეკონომიკური რეფორმების პროცესი მოუმზადებლად, ყოველგვარი თეორიული საფუძვლის გარეშე დაიწყო.

საქართველოში დამოუკიდებლობის იდეა და ტრანსფორმაცია ეკონომიკასთან მიმართებაში სათავეს 1989 წლის 9 აპრილის ცნობილი მოვლენების შემდეგ იღებს. ოლონდ დამოუკიდებლობის ვიციოთ, ბალახსაც კი შევჭვამით — ასეთი იყო საზოგადოების განწყობა... ნაწილობრივ აგვიხდა ეს გამოინათქვამი: სწორედ ამ ბალახმა გადაარჩინა, პირდაპირი გაგებით, გარკვეულ პერიოდში საქართველო. ამ პერიოდზე საუბარი დღეს ძალიან რთულია, რადგან მაშინ მოღვაწე ყველა პირი ცოცხალი და ცოცხალი ადამიანი კი ყოველთვის სუბიექტურია. იმ დროს რეალურად არ იყო ბოლომდე გააზრებული საქართველოს ეკონომიკური განვითარების საფუძველი. განვითარების ბევრი მოდელი არსებობს, მაგრამ რომელი გაამართლებდა ამ შემთხვევაში, არავინ იცოდა; რა იყო გასაკეთებელი და როგორ უნდა აშენებულიყო დამოუკიდებელი სახელმწიფოს ეკონომიკა — ამაზე მეცნიერებას პასუხი არ ჰქონდა.

რა თქმა უნდა, კაპიტალიზმზე უნდა გადაესულიყავით, მაგრამ ეკონომიკური ძალაუფლების ხელიდან გაშვება სახელმწიფოს არ უნდოდა, არც რეფორმების დაწყების სურვილი ანუხებდა. საბჭოთა კავშირის დასრულების შედეგად შექმნილ სახელმწიფოებს ფორმალურად ერქვათ სახელმწიფოები, მათ თავიანთი კონსტიტუცია კი არ ჰქონდათ, არც სახელმწიფო ინსტიტუტები არსებობდა და არც ხედვა, თუ როგორ უნდა გადავსულიყავით საბაზრო ეკონომიკაზე. საქართველოში მოკური თერაპიით გატარებული ეკონომიკური რეფორმები ჩავერდა, რადგან, პოლონეთისგან განსხვავებით, საქართველოს არ გააჩნდა ამ რეფორმის გატარებისთვის საჭირო სახელმწიფოებრივი ინსტიტუტები, არ ჰქონდა საკუთარი ფულიანი ნიშანი და საბანკო სისტემა. მოკური თერაპიის მოყვანა ჰიპერინფლაცია და კუპონის სწრაფი დევალვაცია. საშუალო ხელფასი მაშინ დოლარის ექვივალენტით 1,5 დოლარი იყო, ხოლო პენსია 10 ცენტს უდრიდა.

1994 წლიდან მთავრობა მიხვდა, რომ ასე გაგრძელება აღარ შეიძლებოდა. საჭირო იყო ინფლაციის მოთოკვა, რომელიც პურზე ფასების გათავისუფლებას გულისხმობდა.

და. 1994 წლის სექტემბერში პურზე ფასები 280-ჯერ, ხოლო პენსიები და ხელფასები 20%-ით გაიზარდა. თუცა, ხალხს დიდი პროტესტი არ გამოუთქვამს, რადგან უკვე ისედაც უკიდურესად გაჭირვებული იყო... მიუხედავად ჩამოთვლილი პრობლემებისა, ამ პერიოდს წარმატებული ნაბიჯებიც ჰქონდა. ასეთ ნაბიჯად ითვლება 1995 წლის იანვარში საქართველოს ბიუჯეტის დამტკიცება და ოქტომბერში ეროვნული ვალუტის — ლარის შემოღება, რომელიც ცალკე ვალუტა გახდა. ეკონომიკური თვალსაზრისით, ეს სერიოზული წარმატება იყო ქვეყნისთვის. ასე გამოვიარეთ დამოუკიდებლობის პირველი ათი წელი თავისი შეცდომებითა და მცირერიც გამოჩნატებით. ეს იყო ბოძოლა გადარჩენისთვის. მაგრამ საქირი იყო დაშვებული შეცდომების გამოსწორება და ისეთი ზომების გატარება, რაც ქვეყნის დამოუკიდებლობის მცირე გარანტიას მინც მოგვცემდა“, — აღნიშნა ლადო პაპავამ.

არც ერთ ეკონომიკურ სისტემას არ შეუძლია წარმატებით ფუნქციონირება ჭეშმარიტი ეკონომიკური თეორიის ათვისების გარეშე. მაგრამ დღეს ცალკეულ განვითარებად ქვეყანაზე მორგებული თეორია არ არსებობს. დასავლეთის მონხნავე ეკონომისტების მიერ შექმნილი „ეკონომიკისა“ ნოდებუი ეკონომიკური თეორია მეტ-ნაკლებად ესადაგება მაღალგანვითარებული საბაზრო ეკონომიკის სისტემას და ნაკლებად გამოსაყენებელია პოსტკომუნისტური ქვეყნების საბაზრო ურთიერთობათა ჩამოყალიბების თეორიულ საფუძვლად. რეალურად, მას მხოლოდ შემეცნებითი დატვირთვა გააჩნია.

მიუხედავად იმისა, რომ ტრანსფორმაციის ოცნებანი პერიოდი მძიმე იყო, საქართველო დღეს გლობალური ეკონომიკის ნაწილია. მსოფლიო გლობალიზაციის პროცესი სულ ახალ-ახალ სახელმწიფოებს ითრევს თავის მორეში. სანამ სპეციალისტები ამ ახალ, ჯერ ბოლომდე შეუსწავლელ ფენომენს იკვლევენ, მის დეფინიციას იძიებენ და ნაირ-ნაირ კონცეფციებს ამუშავებენ, ის განუხრელად შემოდის ჩვენს ცხოვრებაში და დიდ გავლენას ახდენს თითოეული ჩვენგანის აზროვნებასა და ქცევაზე. ამიტომ, თუ მომავალზე ვფიქრობთ, ვალდებული ვართ ვიცოდეთ, რასთან გვაქვს საქმე, რა ჩრდილნათელი გააჩნია მას და რას გვიქვადის მომავალში.

პროფესორ ლადო პაპავას მეორე ლექციის მთავარი თემა სწორედ საქართველო და გლობალური ეკონომიკა იყო, სადაც მომხსენებელმა ზედმინეწენით ახსნა საქართველოს ადგილი და როლი გლობალურ ეკონომიკაში.

საქართველო რომ გლობალური ეკონომიკის ნაწილია, ყველაზე მწვავედ ეს ეკონომიკური კრიზისის დროს გამოიკვეთა. გლობალური მსოფლიო კრიზისი 2007 წელს დაიწყო, მაგრამ საქართველოში ნაკლებად იყო განცდა იმისა, რომ ის ჩვენი შეგვეხებოდა, რადგან აქ არ იყო განვითარებული

ფინანსური ბაზრები — საერთაშორისო ფინანსურ ბაზრებზე ნაკლებად იყო წარმოდგენილი ქართული ფასიანი ქაღალდები, და თუ მსოფლიოში ფინანსური კრიზისი განვითარდებოდა, ის, მხოლოდ, ქვეყანაში ინვესტიციების შემოსვლაზე აისახებოდა.

როგორც პროფესორმა ლადო პაპავამ აღნიშნა, „ბოლო ეკონომიკური კრიზისი გახლდათ ჭარბწარმოების კრიზისი, რომლის საფუძველს საკრედიტო მექანიზმი წარმოადგენდა. საინტერესო გამოცდილება დაგროვდა, მაგალითად, იაპონიაში, სადაც სესხის ამღებს გარანტიორად სახელმწიფო უდგებოდა. ამ შემთხვევაში ბანკები ნაკლებ ყურადღებას აქცევენენ კომპანიის გადახდისუნარიანობას, რადგან სახელმწიფო იღებდა ვალდებულებას, ეს სესხი ბიუჯეტიდან დაეფარა. ამან ჩამოაყალიბა ქცევის გარკვეული სტერეოტიპი, რომელსაც ეკონომისტებმა „ზომბი ეკონომიკა“ უწოდეს. ასე გაჩნდნენ „ზომბი ფირმები“ და „ზომბი ბანკები“. შემდგომმა მოვლენებმა იაპონიის ეკონომიკის განვითარებაზე ცუდი შედეგი იქონია. ეს წმინდა იაპონური ფენომენი არანაკლებ აქტუალური გახდა მთელი მსოფლიოსთვის. ზომბირების მექანიზმი იქნა გამოყენებული ამერიკის შეერთებული შტატების, გერმანიის, ირლანდიის თუ სხვათა მთავრობების მიერ. რატომ? იმიტომ, რომ იქაც იგივე პროცესები მიმდინარეობდა. ქვეყნის ხელისუფლების წინაშე ყოველთვის დგას არჩევანი: ეკონომიკურად რაციონალური თუ პოლიტიკურად ხელსაყრელი გადაწყვეტილება? რა თქმა უნდა, პოლიტიკოსი პოლიტიკურ გადაწყვეტილებას ირჩევს, მაგრამ ეს გადაწყვეტილება ყოველთვის არ ემთხვევა ეკონომიკურად რაციონალური გადაწყვეტილების სქემას. შედეგად მივიღეთ ის, რომ დაიწყო მსოფლიო ეკონომიკის ზომბირება უფრო ცუდი სქემით, ვიდრე ეს იაპონიის ეკონომიკისათვის იყო დამახასიათებელი“...

იდგა თუ არა საქართველო ფინანსური კრიზისის საშიშროების წინაშე? — ამ კითხვას პროფესორმა ასე უპასუხა: „საქართველოში ფინანსური კრიზისი რეალურად იქნებოდა, მაგრამ მისი განვითარება 2008 წლის აგვისტოს ცნობილ მოვლენებს დაემთხვა. რუსეთთან ომმა საქართველოს ეკონომიკური კუთხით ომში მოუქცნა, მიუხედავად ინფრასტრუქტურის ნგრევისა და ახალი გაუთვალისწინებელი ხარჯებისა. ომი რომ არ დაწყებულიყო, საქართველოს არავინ აღმოუჩენდა იმ მასშტაბის ფინანსურ დახმარებას, რაც მას 2008 წლის შემოდგომაზე აღმოუჩინეს. ბრიუსელში შეიკრიბნენ დონორი საერთაშორისო ორგანიზაციები და მიიღეს უპრეცედენტო გადაწყვეტილება: საქართველოსთვის გამოეყოთ 4,5 მილიარდი დოლარის ფინანსური მხარდაჭერის პაკეტი, რომელიც ორი წლის განმავლობაში უნდა შემოულიყო საქართველოში. და ეს მაშინ, როცა მსოფლიოში მწვავე ფინანსური კრიზისია, ყველა დახმარება სჭირდება, თავისუფალი ფული კი არ არის, და თუ არის, საკმაოდ ძვირია... ამ თანხიდან მხოლოდ 2,5 მილიარდი იყო სესხის სახით გაცემული, დანარჩენი კი გრანტი იყო. საბანკო სექტორი კრიზისიდან სწორედ ამ დახმარებამ გადაარჩინა. ამ თვალსაზრისით საქართველო მთლიანად ჯდება გლობალური ეკონომიკის კონტექსტში. რომ არა ეს დახმარება, ფინანსური კრიზისი ქვეყანაში რეალურად განვითარდებოდა“... ამ შემთხვევას ერთ-ერთ სტატიაში ლადო პაპავამ „ომის პარადოქსი“ უწოდა.

დღეს საქართველოს ეკონომიკის მოდელი დაფუძნებულია მოხმარების სტიმულირებაზე. თუ რა შედეგები მოიტანა მოხმარების სტიმულირებამ ეკონომიკის რეალური სექტორის სათანადო განვითარების გარეშე, ამ საკითხს პროფესორმა ლადო პაპავამ დიდი ყურადღება დაუთმო მესამე ლექციაზე, რომლის თემა გახლდათ „ღარიბი ქვეყნის მომხმარებელი ეკონომიკის ფორმირება“.

საქართველოს ამჟამინდელი მთავრობისთვის პირველი რიგის ამოცანა ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის მიღწევა და ყველა იმ პოტენციური შესაძლებლობის ამოქმედება, რასაც ევროკავშირთან ეკონომიკური ინტეგრაცია მოიტანს. ამისთვის საქართველოს მთავრობის ეკონომიკურმა პოლიტიკამ ყურადღება უნდა გაამახვილოს ანტიმონოპოლიური რეგულირების ევროპული მოდელის პირობებში წარმოების განვითარებაზე, მომხმარებელთა უფლებების დაცვასა და შრომით ურთიერთობებზე.



არცთუ დიდი ხნის წინათ, საქართველოს პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი გამოვიდა ინიციატივით, შეიქმნას ქვეყნის ეკონომიკური განვითარების სტრატეგია. დოკუმენტზე უკვე მუშაობს ფინანსთა სამინისტრო ეკონომიკის სამინისტროსთან ერთად და მის შემუშავებაში ჩართული არიან ქართველი ექსპერტები, მათ შორის ბატონი ლადო პაპავაც, რომელსაც მაიჩნია, რომ ეს არის სწორი მიმართულება.

„ვფიქრობ, რომ პრობლემა კომპლექსურად უნდა გადაწყდეს... დასაქმების ზრდით უნდა მოხდეს არა მარტო ეკონომიკური ზრდის მიღწევა, არამედ სიღარიბის პრობლემის დაძლევაც. სწორედ დასაქმებით უნდა მოხდეს ხალხის შემოსავლების ზრდა და, ამასთანავე, დამატებითი შესაძლებლობები უნდა გაჩნდეს სხვადასხვა რეგიონის განვითარებისთვის. საჭიროა კომპლექსური ხედვა, რომელსაც, ვფიქრობთ, მალე შეიმუშავებთ“, — აღნიშნა მან საქართველოს ეკონომიკის მომავალზე საუბრისას, რომელსაც მეოთხე ლექცია მიუძღვნა. სადაც ასევე ისაუბრა საქართველოს ეკონომიკურ განვითარებასა და პერსპექტივაზე.

„საქართველო მცირე ზომის ქვეყანაა, მცირე მოსახლეობით, ეკონომიკის მცირე მასშტაბებით... როცა ქვეყნის მასშტაბები მცირეა, მისი ეკონომიკა არ არის ინვესტორისთვის დიდად მიზნადმიქცეული. ის ცდილობს, მსხვილი მასშტაბის მქონე ქვეყნებში ჩადოს ინვესტიცია. თუმცა მცირე ზომის ქვეყნებს შეუძლიათ ისე განავრცონ ეკონომიკური მასშტაბები, რომ ქვეყნის საზღვრები უცვლელი დარჩეს. რა არის ამისთვის საჭირო? უნდა დამყარდეს თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი, რომელიც სერიოზული ნაბიჯია ევროინტეგრაციისკენ. მიუხედავად იმისა, რომ საქართველო არ არის ევროკავშირის წევრი ქვეყანა, მისი ეკონომიკა ევროკავშირის ეკონომიკის ნაწილი ხდება. ეს, რა თქმა უნდა, საქართველოს ეკონომიკის მასშტაბებს აფართოებს. იბადება კითხვა: რით უნდა იყოს საქართველოს ეკონომიკა მიმზიდველი უცხოელი ინვესტორისთვის? მაგალითად, საქართველოში ადვილია ბიზნესის რეგისტრაცია, უცხოელი ინვესტორისთვის ბიზნესის დაწყება... ინვესტორისთვის ასევე მომზიდველია სავადასახადო ტვირთის სიმცირე, ის ბევრად უფრო მცირეა, ვიდრე ევროკავშირის მიმართულ ქვეყნებში. ევროკავშირი მზად არის საქართველოსთან დაამყაროს თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი იმ წინაპირობების გათვალისწინებით, რასაც ბრიუსელი საქართველოს უყენებს. ეს რეკომენდაციები ვაჭრობის ტექნიკურ ბარიერებს, სურსათის უვნებლობას, ინტელექტუალური საკუთრებისა და თავისუფალი კონკურენციის დაცვას ეხება“...

ბატონი ლადო ფინალური ლექციის მსვლელობასა განათლებასა და მეცნიერების განვითარების საკითხებზე შეეხო, რის გარეშეც ქვეყანა წარმატებული ვერ იქნება. მისი აზრით, „არსებობს ზოზოცია, რომ საქართველო მცირე ზომის ქვეყანაა და არ გააჩნია რესურსები დიდი მეცნიერების განვითარებისთვის. მეცნიერებისადმი აგდებული დამოკიდებულება არა მარტო მეცნიერებას, სწავლებასაც აკნინებს უმაღლეს სკოლაში“.

საქართველო ეკონომიკური განვითარების მოდელის ძიებაში

მეთორმეტე გვერდიდან

ჩვენ ვერ შევინარჩუნებთ და ვერ განვაავითარებთ მეცნიერებას, თუ, გარკვეულ ეტაპამდე მაინც, მთავარი დამფინანსებელი არ იქნება სახელმწიფო... რა უნდა იყოს ამოსავალი? „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ჩამოყალიბდა ხედვა, რომ მთავარი არის სტრუქტურა. სწორედ ამ იდეოლოგიაზე იყო დაფუძნებული ვაუჩერული სისტემა. ამ სისტემის კრაზი გამოჩნდა სწორედ მაშინ, როცა უნივერსიტეტებიდან სწავლის საფასურის გადაუხდელობის გამო 10 000 სტუდენტი გაირიცხა. ამ ფაქტმა ხაზი გაუსვა მოდელის არამართებულობას. ახალგაზრდა მხოლოდ მაშინ უნდა ირიცხებოდეს უნივერსიტეტიდან, თუ ვერ სწავლობს ან თუ რალაც დააშავა.

დღეს უკვე გამოჩნდა ახალი შეხედულებები უმაღლესი სკოლის რეფორმასთან დაკავშირებით... არაერთი კოლეგა ჩემთან საუბარში აფიქსირებს „დვალის პროექტის“ მიმართ კრიტიკულ დამოკიდებულებას, თუმცა მათი უმრავლესობა საჯაროდ ამის თქმას ვერ ბედავს... ყველას უნდა გვახსოვდეს, რომ დუმილით და თავის მოტყუებით დემოკრატია ვერ ავაშენებთ!

დოკუმენტი, რომელიც ცნობილმა ფიზიკოსმა შექმნა, ოფიციალურად დამტკიცებული არ არის. ბატონი დვალის მიერ დაწერილი კონცეფცია ისეთივე მცდარ მოდელზეა აგებული, როგორც იყო ალექსანდრე ლომაიას ხედვა. ლომაიასთვის მთავარი იყო სტრუქტურა, დვალისთვის მთავარია პროფესორი, ანუ მის სქემაში სტრუქტურა საერთოდ არ არსებობს. ნებისმიერი კონცეფციის

დაწერის დროს უნდა იცოდეს, რომ უნივერსიტეტი წარმოუდგენელია ორი სუბიექტის – სტუდენტისა და პროფესორის გარეშე. პირდაპირ ვაცხადებ: რაც გააკეთა ლომაიამ, შეიძლება შებრუნებული მეთოდით, ისეთივე „წარმატებით“ დაავიკინოს გია დვალმა.

რაც მთავარია, დვალის კონცეფციაში საერთოდ არ არის განხილული ორი საკითხი: პირველი – უნივერსიტეტების იურიდიული სტატუსი და მეორე – ფინანსური საკითხი. რასაც ეს ადამიანი გვთავაზობს, გახლავთ საკმაოდ ძვირი მოდელი. ის კარგად არის აპრობირებული ამერიკაში, მაგრამ ამერიკული საგანმანათლებლო სისტემის გადმოტანა საქართველოში, პრაქტიკულად, შეუძლებელია. დამისახელებთ, რამდენი მეცენატი ვიცით ივანიშვილის გარდა, რომე-

ლიც კულტურას და განათლებას ეხმარება? მე ასეთი, სამწუხაროდ, არ მახსენდება...“ — განაცხადა ლალო პაპავამ.

კიდევ სხვა მრავალ მნიშვნელოვან კითხვაზე გასცა ამომწურავი პასუხი პროფესორმა ლალო პაპავამ, რომელმაც თავის მხრივ მაღლობა გადაუხადა სტრუქტურებს, რომლებმაც საუნივერსიტეტო საზოგადოებასთან შეხვედრის ორგანიზება ითავეს. ეს იყო მაისში დაგეგმილი ღონისძიება, რომელიც ობიექტური მიზეზების გამო ცოტა მოგვიანებით გაიმართა. მაშინ, ჯერ კიდევ არ იყო საუბარი თსუ-ის რექტორის არჩევნებზე. ინფორმაციული ლექციების წაკითხვისთვის, სტრუქტურა საინიციატივო ჯგუფის ხელმძღვანელმა მიხეილ გაბელაიამ, სტრუქტურების სახელით, დიდი მაღლობა გადაუხადა

პროფესორს, რომლის ექსპერტული მოსაზრებების მოსმენითაც თსუ-ის სტრუქტურა დიდი წაწილი მუდამ დაინტერესებულია. მსმენელთა უმეტესობას ეკონომიკის პროფილით მის მაღალკვალიფიციურობაში ეჭვი არ ეპარება. ცნობისთვის: ლალო პაპავა 1994 წლიდან 2000 წლამდე, როგორც ეკონომიკის მინისტრი, აქტიურად მონაწილეობდა ფულის რეფორმის, პურის ბაზრის სრული ლიბერალიზაციის, ინსტიტუციური გარდაქმნებისა და სხვა მნიშვნელოვან სამთავრობო პროგრამებში. როგორც საქართველოს მთავრობის ეკონომიკური გუნდის წევრი, ბატონი ლალო გახლდათ საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის მისიებთან მოლაპარაკებების ერთერთი მთავარი მონაწილე.

